სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 3 (4524) ● 10 თებერვალი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

განათლების ნოვატორები საქართველოში

კომფორტული სწავლების სკოლა

„ნინო“ ევროპულ სიმაღლეებს იპყრობს

საქართველოში, ჩვენს ქალაქში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც კოლოსალურად ბევრს შრომობენ, უხმაუროდ იღვწვიან ქვეყნისა და ხალხისათვის. რაც არ უნდა გასაოცარი იყოს მკითხველისათვის, **მათ თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ქებასა და საკუთარი წარმატების შესახებ საუბარს გაურბიან**.

კიდევ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს – დღეს საქართველოში **მეცნიერ-ქალებზე** საერთოდ არ წერენ, ან წერენ ძალიან იშვიათად. არადა, ჩვენს ქვეყანას ჰყავს ძალიან გამორჩეული, ღვთის ნიჭით მომადლებული, სწავლული ქალბატონები. უსაზღვროდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შრომის ნაყოფი და ღვაწლი, შერწყმული ჭეშმარიტად მაღალზნეობრივ თვისებებთან: სიკეთესთან, ქველმოქმედებასთან, უანგარო სიყვარულთან, მადლიერებასა და ამაგის დაფასებასთან, თავმდაბლობასთან, სამშობლოს, ქვეყნის საერთო ტკივილის გათავისებასთან თუ დაკისრებული მოვალეობებისადმი უდიდეს პასუხისმგებლობასთან.

სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ გვერდით მოღვაწე, ჩვენი თანამედროვე ქალბატონი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ლამარა ქოქიაური**. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში მარცვალ-მარცვალ აგროვებს, ქმნის და ამზეურებს სიკეთეს, სიყვარულს, ზრუნვას, ყველაფერს საუკეთესოს, რაც მამაზეციერს მისთვის დაუნათლავს.

სწავლობდა და დაამთავრა თბილისის **კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ნიჭიერთა სკოლა, ახლანდელი 199-ე საჯარო სკოლა,** ამაყობს ამ სახელოვანი სკოლის პირველი გამოშვებით და კიდევ იმით, რომ პირველად იქ შეხვდა უდიდეს ქართველ მათემატიკოსებს – **ნიკოლოზ მუსხელიშვილს**, **ილია ვეკუას**, **ვალერიან მელაძეს** და სხვებს.

ბედნიერად თვლის თავს, რომ სწავლობდა და თითქმის **30 წელი** მუშაობდა დედაუნივერსიტეტის ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე კათედრაზე, როგორიცაა **ფინანსები და კრედიტი**, სადაც მოღვაწეობდნენ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბუმბერაზები – **ვასილ ჩანტლაძე** და **პაატა გუგუშვილი** – მისი პედაგოგები და გზის გამკვალავნი მეცნიერებაში.

ქალბატონი ლამარა **პირველი პროფესორი ქალია საქართველოში ფინანსებისა და კრედიტის სფეროში. იგი 238 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიისა და 22 სქელტანიანი** სახელმძღვანელოს ავტორია. სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებად თავიდანვე შეარჩია 80-იანი წლებისათვის თითქმის შეუსწავლელი სფერო – **ინვესტიციები**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი პიონერია ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო პრობლემების დაყენებისა და შესწავლის საკითხებში.

ქალბატონმა ლამარა ქოქიაურმა შვიდი წლის წინათ დააფუძნა და დღემდე ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას – **საფინანსო-საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდს,** რომლის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფერო. ფონდი აქტიურად საქმიანობს საერთაშორისო ასპარეზზეც: ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის საქმეში და ა. შ.

მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებად, შემოქმედებით მიღწევად მეცნიერ ქალბატონს 1992 წელს მის მიერ დაფუძნებული ინგლისური ენის გაძლიერებული სკოლა **„ნინო“** მიაჩნია. საიდუმლო არ არის,დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ სკოლის მოსწავლეები ყველასგან გამორჩეულები არიან. ეს ის სკოლაა, რომლის დამთავრებულებს საქართველოს და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში რომ ეკითხებიან: **„სად და რომელი სკოლა დაამთავრეთო.“** ეს ის სკოლაა, სადაც **მარიამ შავერდაშვილი**, **გიორგი ბუთხუზი**, **მამუკა ბლიაძე**, **ნათია სორდია**, **ჯონი ხეცურიანი**, **ლევან** და **გიორგი ჯიქიები**, **ჯაბა ბურდიაშვილი** და სხვები რომ სწავლობდნენ.

ეს ის სკოლაა, სადაც **ზურაბ მუჯირიშვილი, ელენე ახალკაცი, მარიამ ფეიქრიშვილი, ილია კრიხელი, ელენე ცუხიშვილი, ლევან დალაქიშვილი** და ხუთასამდე წარმატებული ბავშვი რომ სწავლობს.

ეს ის სკოლაა, ქალბატონ ლამარასთან ერთად, ორ ათეულ წელზე მეტია, არაჩვეულებრივი, უმაღლესი პროფესიონალიზმის, ბავშვებისა და ხალხის მოსიყვარულე **მასწავლებლები** რომ მოღვაწეობენ.

ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო“ ერთ-ერთი პირველი საშუალო სკოლაა საქართველოში, რომელმაც ფუნქციონირება 1992 წელს დაიწყო. სკოლის მისიაა: **ინტელექტუალური, განათლებული, შრომისმოყვარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ქრისტიანული სულისკვეთების მამულიშვილების აღზრდა**. სკოლა გამოირჩევა საკუთარი ტრადიციებით, რაც ცოდნის ამ ტაძრის მრავალწლიანი წარმატების საფუძველია. დაკომპლექტებულია უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე, სერთიფიცირებული პედაგოგებით.

სკოლაში ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან იწყება და მისი სწავლება კვირაში 10-საათიანი დატვირთვით მიმდინარეობს. მესამე კლასიდან ბავშვები რუსული ენის დაუფლებას იწყებენ, ხოლო მეხუთედან ისწავლება გერმანული. სკოლაში სწავლება **პროფილური** ხასიათისაა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რვა საატესტატო საგნის (**ქართული ენა**, **ინგლისური ენა**, **მათემა-**

გაგრძელება მე-2 გვ.

1-ლი გვერდიდან

ტიკა, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია) გაღრმავებული სწავლებით. აქ გარანტირებულ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს სახელმწიფო ატესტატის მისაღებად და შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. თითოეულ ჯგუფში 15-20 მოსწავლეა. ჩვენი სკოლადამთავრებულები ასევე წარმატებით აგრძელებენ სწავლას საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, სკოლა ამზადებს მოსწავლეებს TOEFL-ისა და SAT-ის ტესტების ჩასაბარებლად. ინგლისურში აკადემიურად მაღალი დონის ნიჭიერი მოსწავლეები ფლობენ B2, UPPER INTERMEDIATE Advanced Level-ს. აქ სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, მათთვის გახსნილია ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები.

სამსახურით დაკავებული მშობლებისთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს **გახანგრძლივებული ჯგუფები** საღამოს 6 საათამდე, სათანადო კვებით. სკოლაში ფუნქციონირებს **მათემატიკის, ქართული ცეკვის, მუსიკის, ჭადრაკის, ხატვის, კარატეს, ფეხბურთის** სექციები; საღვთო სჯულს ასწავლის დავით-გარეჯის სახელობის ტაძრის წინამძღვარი – **მამა პანტელეიმონი**;

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, ექიმი და ექიმი-მასაჟისტი; სკოლას ემსახურება სასკოლო ავტობუსები.

საქართველოს მასშტაბით აქ ყველაზე დაბალი გადასახადის განაკვეთია. აგრეთვე, დაწესებულია **შეღავათები: მრავალშვილიანი დედებისათვის, ობოლი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის**.

სკოლა პირველკლასელებს უფასოდ ურიგებს სახელმძღვანელოებს.

მე-10, მე-11 და მე-12 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები თავისუფლდებიან სწავლების გადასახადისაგან.

მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს **საცურაო აუზი, მწვრთნელისა** და **ექიმის** მეთვალყურეობით.

აქვე, 4-5 წლის ბავშვებისათვის არსებობს მოსამზადებელი ჯგუფები ისინი ავტომატურად ჩაირიცხებიან პირველ კლასში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სკოლაში!

თქვენი კეთილი მასპინძელი სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლამარა ქოქიაური**.

P.S. ერთი სიტყვით, კომფორტული სწავლების სანიმუშო სკოლა„ნინო“ ევროპული სტანდარტებისკენ მიისწრაფვის. ამ ახალ 2016 წელს გამარჯვებები და სიკეთე დაგბედებოდეთ. გვჯერა, „ნინო“ უფრო გაბრწყინდება.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი

ბუდაპეშტის სიმღერის IV საერთაშორისო ფესტივალზე

ქართველი გოგონას ტრიუმფი

ნინი და ბატონი ჯანო

ამას წინათ ერევანში ჩატარებულ ხელოვნების ფესტივალზე „მინორა“ („მეგობრობა“), (ორგანიზატორი როლანდ რაი) 14 წლის **ნინი ნემსაძე-მუჯირიშვილმა**, მომღერალთა შორის „გრან-პრი“ მოიპოვა და მიიღო მიწვევა. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის სიმღერის IV საერთაშორისო ფესტივალიდან „ვარსკვლავი დაიბადა“ „STAR TO BORN“. მასში 15 ქვეყნის 49 ნიჭიერი კონკურსანტი მონაწილეობდა. ნინიმ პირველი ადგილი მოიპოვა.

ჟიური შედგებოდა კულტურის სფეროს სხვადასხვა ქვეყნის 10 წევრისაგან. ესენი იყვნენ: **უნგრეთი, მალტა, მაკედონია, უკრაინა, საქართველო** (ჟიურის თავმჯდომარე კომპოზიტორი: **ნიკოლოზ თითირაშვილი**), **რუსეთი, სერბეთი, ხორვატია, საფრანგეთი, იტალია, ისრაელი**.

უნგრეთში ასევე მიწვეულნი იყვნენ საფესტივალო სიმღერის „ჩანახატის“ ავტორები: კომპოზიტორი **ნიკოლოზ თითირაშვილი** და ლექსის ავტორი ქალბატონი: **მარიამ სიფრაშვილი**. სიმღერას „პატარა სპექტაკლი“ უწოდეს, რომლის არანჟირების ავტორია **ჯონი თითირაშვილი**, ქორეოგრაფი – **ჯანო თითირაშვილი**.

ფესტივალის პრეზიდენტი იყო უნგრეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, მომღერალი და პედაგოგი – **ედრიენ იუნეკი**.

ნინი მუჯირიშვილი–ნემსაძის წარმატებით დიდად გაიხარეს საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა. ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **ბაქარ მაკარიძე** თავის გუნდთან ერთად გულთბილად შეგვხვდა. მოისმინეს კვლავ 3 ქართული სიმღერა ნინის შესრულებით, რომლის ავტორიც არის მისი პედაგოგი, კომპოზიტორი და პროდუსერი ბატონი **ნიკოლოზ (ჯანო) თითირაშვილი**.

ფესტივალის ორგანიზატორთან ე. ვიისთან.

შემოქმედებითი ჯგუფი

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შეხვდნენ ნაძალადევის რაიონის გამგებელს ბატონ **ზაზა გაბუნიას** და მის აპარატს.

ნინიმ სიმღერა 5 წლიდან დაიწყო პედაგოგ და კომპოზიტორ ბატონ **ნიკოლოზ თითირაშვილთან** და მის რეპერტუარში ბატონი ჯანოს მრავალი ქართული სიმღერა შედის.

6 წლის ასაკში 2008 წლის ოქტომბერში ნინისთვის სპეციალურად დაიწერა სიმღერა **„ნანა“** ლექსი **გალაკტიონ ტაბიძის** და **მარიამ სიფრაშვილისა**. ამ სიმღერამ მოწონება დაიმსახურა მაკედონიაში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე **„ვარსკვლავები“**, სადაც ნინიმ პირველი ადგილი მოიპოვა. იქ მან თავისი აკვნით და თოჯინით, ინგლისურად იმღერა.

2008 წლის ნოემბერში სერბეთის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „ნიჟარები“ ნინიმ ახალი სიმღერა „ფერია“ შეასრულა და აქაც „გრან-პრი“ დაიმსახურა. მის წარმატებას გამოეხმაურა საქართველოს ტელევიზია და მედია.

ქართულ მუსიკალურ კონკურსზე მოპოვებული აქვს 4 „გრან-პრი“.

ნინი ნემსაძე-მუჯირიშვილმა დაამთავრა ხელოვნების სტუდია „იმედის“ საფორტეპიანო განყოფილება, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს სკოლა-ლიცეუმ „ფესვებში“ (დირექტორი **მაია ალანია**). ასევე, უკრავს გიტარასა და ფლეიტაზე, ცეკვავს როგორც ქართულ, ასევე სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებს. (პედაგოგი პროფესიონალი მოცეკვავე და ეროვნული კატეგორიის მსაჯი უმცროსი **ჯანო თითირაშვილი**). ვუსურვოთ ნინის ახალ-ახალი ქარმატებები.

ზურაბ ქობალია

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასწავლებელში

პრიორიტეტები: ცოდნა, აღზრდა, პროფესიონალიზმი...

თბილისში უზნაძის ქუჩაზე, 68-ში ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს **წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი**. შენობაში შესვლისას დაგეუფლებათ სიამოვნებისა და მოკრძალების გრძნობა. დედაქალაქში თითქმის იშვიათად ნახავთ ასეთ კეთილმოწყობილ სასწავლო დაწესებულებას.

საქმის წარმოების სამსახურის უფროსთან **ირინა ბიბილეიშვილთან** და კანცლერ **ნატო ასათიანთან** საუბრების დროს გავეცანით უნივერსიტეტის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. შემდეგ კი შევხვდით უნივერსიტეტის რექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არქიმანდრიტ ადამს (**ვახტანგ ახალაძე**). გთავაზობთ მათთან საუბრის შინაარსს.

* * *

უნივერსიტეტის წყობა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა **თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი** არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს.



დაარსებიდან დღემდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორია საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, თბილისის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის წინამძღვარი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე).

დღეს უნივერსიტეტში 282 სტუდენტი სწავლობს. მათ შორის, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე – 220, სამაგისტრო პროგრამებზე კი – 62.

უნივერსიტეტში დღეს 30 აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და 64 მოწვეული სპეციალისტი (პედაგოგი) მოღვაწეობს.

2005 წელს – საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია **„ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრის“** ერთობლივი ინიციატივისა და შეთანხმების საფუძველზე დაარსდა წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დების სასწავლებელი. სასწავლებლის ხელმძღვანელად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **იღუმენი ადამი (ვახტანგ ახალაძე).**

ერთი წლის შემდეგ, არსებული სასწავლებლის ბაზაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემიის სტრუქტურაში შეიქმნა წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი ორი ფაკულტეტით: **მოწყალების დების საქმე** და **ტრადიციული მედიცინა**.

მალე ინსტიტუტში დაარსდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოთერაპიის პირველი ფაკულტეტი საქართველოში.

კიდევ შეიქმნა ორი ახალი ფაკულტეტი: **პრევენციული** და **სოციალური მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტი**; **ფიზიკური მედიცინისა** და **რეაბილიტაციის**.

დღეისთვის ამ უმაღლეს სასწავლებელს მინიჭებული აქვს უნივერსიტეტის სტატუსი და დღეისთვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2 ფაკულტეტი: **მედიცინის ფაკულტეტი** და **სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**.

უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს – **ბაკალავრიატისა: საექთნო საქმე, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა** და **რეაბილიტაცია, ფსიქოლოგია.**

მაგისტრატურისა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, ბიოეთიკა, ბიოფარმაცია, ფარმაციის მენეჯმენტი, თურქეთისმცოდნეობა.

დოქტორანტურა ფარმაციის პროგრამა – მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ფარმაციაში.

სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას მაღალ პროფესიონალურ დონეზე ახორციელებენ. **პროფესორები: არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე ვახტანგი)**; მიმართულება – ჯანდაცვა: **გურამ კაციტაძე, გიორგი წილოსანი, ეთერ ქემერტელიძე, დალი ფარჯანაძე.**

მიმართულება – სოციალური მეცნიერებები. ასოცირებული პროფესორები: მაყვალა უშიკიშვილი, მიმართულება – ჯანდაცვა: **ლია წიკლაური, მაია მერლანი, ქეთევან შალაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ლალი კოკაია, თამარ მეგრელიშვილი, გრიგოლ სულაბერიძე, ხათუნა მელია, ნანა გუმბარიძე, მარინე ბზიშვილი, ირინე ონიანი, ქეთევან ონიანი, ნატო ნაკუდაშვილი, გიორგი ჩახავა, თამაზი გელოვანი, ირმა ცხოვრებაძე, მარინე ჯაღიაშვილი.**

მიმართულება – სოციალური მეცნიერებები: ზაზა წურწუმია.

მიმართულება – მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები: ასისტენტ-პროფესორები: ციალა გუმბარიძე, მიმართულება – ჯანდაცვა: **ჯულიეტა შოშიაშვილი, ელენე კავლელაშვილი.**

მიმართულება – სოციალური მეცნიერებები: მანანა ტუსკია, მარინა ტურავა. ასისტენტები: ლანა სულხანიშვილი.

მხარდამჭერთა და მეგობართა საზოგადოება: სულიერი და **სოციალურ–კულტურული განვითარების ფონდი „თამარის დროშა“, კონრად ადენაუერის ფონდი** (გერმანია), **ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევათა ცენტრი** (პოლონეთი), **სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“, ხელოვნების აკადემია, აფხაზეთის სულიერებისა** და **კულტურის ცენტრი, „ქართული ჰოსპიტალი“, „უნიფაქი“, ანსამბლი „რუსთავი“, „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“, ლაშა ჩეკურიშვილის იურიდიული კონსალტინგი.**

საზოგადოების დარბაზი: ჭაბუა ამირეჯიბი, ემზარ კვიტაიშვილი, იბერია ოზქან მელაშვილი (თურქეთი), **ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი, ლილი იოსელიანი, კატია კრისტინა პლატე** (გერმანია), **დავით წერედიანი, ელგუჯა ბერძენიშვილი, ქევსერ ქეთევან რუჯი ხანთაძე** (თურქეთი), **ჰენრიკ პაპროცკი** (პოლონეთი), **ანდრია დევდარიანი, დავით ყოლბაია** (პოლონეთი), **კახა ცაბაძე, გურამ ათაბაი ქოქოლაძე** (თურქეთი), **გიორგი ქევსეთინ ირემაძე** (თურქეთი), **ფრანსუაზა ელიზაბეტ ლოერსეტი** (ბელგია), **ლატავრა დულარიძე.**

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები – სხვადასხვა უმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებასთან. ესენია: **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ვარშავის უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.**

უნივერსიტეტში შექმნილია და ფუნქციონირებს: სოციალურ–კულტურული და ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი; ახმედ ოზქან მელაშვილის სახელობის კაბინეტი; აუდიო–ვიზუალური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი; წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის სამეცნიერო

გაგრძელება მე-4 გვ.

მე-3 გვერდიდან

კაბინეტი; ესმა ონიანის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სტუდია; სტუდია „მირკანი“; ტრადიციული მედიცინის კაბინეტი; მენტალური კორექციის ცენტრი; გამომცემლობა.

სამეცნიერო საქმიანობა:

საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსზე უნივერსიტეტის მიერ წარდგენილმა პროექტმა **„თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“** გაიმარჯვა. ამ გრანტის ფარგლებში უკვე მოეწყო 2 საველე ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-არქიტექტურული ექსპედიცია ზემო ქართლისა (მტკვრის ხეობის ზემო წელისა და ჭოროხის აუზის), შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მხარეებში და მარმარილოს ზღვის რეგიონების ეთნიკურ ქართველთა კომპაქტურ დასახლებებში.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ამ უნივერსიტეტის რექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, **არქიმანდრიტ ადამის** მონოგრაფიის **„ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისის“** წარდგინება.

კიევში გამართული საერთაშორისო კონგრესის „სამედიცინო და ფარმაცევტული სამართლის, ბიოეთიკისა და სოციალური პოლიტიკის აქტუალური საკითხები“ საორგანიზაციო კომიტეტმა არქიმანდრიტი **ადამ ახალაძე** განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის განვითარებაშო შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა შესაბამისი სიგელით.

მაცუმაეს (იაპონია) საერთაშორისო ფონდის გრანტის ფარგლებში უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფარმაციის დოქტორმა **მაია მერლანმა** მონაწილეობა მიიღო ჰოკაიდოს უნივერსიტეტის კატალიზის ცენტრის სამეცნიერო პროექტში **„ჭრილობის შემახორცებელი და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედების მქონე ლაშქარას ბიოლოგიურად აქტიური პოლიმერის სინთეზური ანალოგების მიღება“**.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

ჩატარდა: პირველი თბილისური საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმი – „სუროგატული დედობა. სულიერ-ზნეობრივი ასპექტები”; მეორე თბილისური საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმი „თანდაყოლილ დაავადებათა ბიოეთიკური ასპექტები“; „ნატურალური მედიცინა: ტრადიციები, დღევანდელობა და პერსპექტივები“; „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები“ (მიეძღვნა **აჰმედ ოზქან მელაშვილის** დაბადებიდან 90 წლისთავს); წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის მიცვალების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; მესამე თბილისური საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმი **„ევთანაზია საკრალურ და სეკულარულ სივრცეში“**; „თურქეთელი ქართველები – ერთიანი ქართული კულტურის მემკვიდრენი“; მეოთხე თბილისური საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმი „ხელოვნური რეპროდუქციის ბიოეთიკა“; მეხუთე საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმი თემაზე: **„ოჯახი გლობალურ სივრცეში: ბიოთიკური კონტექსტი“**.

სტუდენტური კონფერენციები:

ჩატარდა თემაზე: „თანამედროვეობა და სოციოლოგია“; „ბიოეთიკური აზროვნების თავისებურებანი და მხატვრული ლიტერატურა: **ჯემალ ქარჩხაძის** მოთხრობის **„იგის“ ანალიზი**“; „ფსიქოთერაპიული პრობლემები და ეკლესიური სწავლება“; „გადავარჩინოთ სიცოცხლე“ – დაბადებამდელი დედაშვილობის პრობლემები.

უნივერსიტეტის მისიაა:

თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი მაღალგანვითარებული ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ცხოვრებას მსჭვალავს სულიერ-ზნეობრივი ღირებულებანი;

არსობრივი და არა ფორმალური ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;

ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების მნიშვნელოვან მონაპოვართა შენარჩუნება და ყველა საჭირო ნოვაციის მიღებადანერგვა ამ სფეროში;

ქართული სახელმწიფო ენის სწავლების, განვითარებისა და ფუნქციონირების აკადემიური გარემოს შექმნა;

მეცნიერული პოტენციალის მიმართვა საქართველოს სახელმწიფოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, ეთნო და გლობალური კულტურული ინტერესების სამსახურში;

ქართული პროფესიული კადრების სამოღვაწეო ასპარეზის შენარჩუნება და განვითარება;

ახალგაზრდობისათვის, მათი ჰარმონიული განვითარებისათვის საიმედო დასაყრდენის, სანდო სულიერი და ზნეობრივი ორიენტირების შექმნა;

ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციებისა და მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევათა ოპტიმალური შერწყმა საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში;

უმაღლესი განათლების სისტემის დარგობრივი (სპეციალობათა) მრავალფეროვნების მაქსიმალური შენარჩუნება და განვითარება;

საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მისი აქტიური წევრობა;

სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლგაგებათა და აზროვნების სისტემათა, ცოდნისა და რწმენის ინტეგრაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

აი, როგორი აქტუალური, მრავალფეროვანი, მჩქეფარე საქმიანობით ცხოვრობს **წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტი**.

ყველა პროფესორ-მასწავლებელსა და სტუდენტს ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ.

რომან მოსეშვილი

„ჰეი, ბავშვობის დღეებო დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“

თბილისი 45-ე ბაგა-ბაღი ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე მდებარეობს და იგი ნამდვილად არის ცეროდენ-

ების ზღაპრული სამყარო. აქ შენობაში, შეხვალთ თუ არა, მაშინვე მოიხიბლებით, რადგან სისუფთავე და წესრიგი

თვალშისაცემია, ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული..

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი კი, შესანიშნავად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური მესვეურები შემოქმედებითი კუთხით უძღვებიან საქმეს და ცდილობენ პატარებს, კრეატიული უნარჩვევები განუვითარონ. ბაღის დირექტორი გახლავთ, დიდი გამოცდილების მქონე ქალბატონი **იზა კვანტიძე**. იგი, უკვე

სანიმუშოა, 45-ე ბაგა-ბაღი

დილა მშვიდობისა, ცეროდენებო!

ცხრა წელიწადია, ბაღს წარმატებით ხელმძღვანელობს. მანამადე იყო, ისნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე. ასევე, მუშაობდა **გრიგოლ კობახიძის** სახელობის მე-5 გიმნაზიის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. აგრეთვე, იყო ახალგაზრდა მასწავლებელთა პრეზიდენტი და თბილისის განათლების სამმართველოს კოლეგიის წევრი. განათლებით მათემატიკოს-პროგრამისტია და დამთავრებული აქვს დედაუნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი.

ქალბატონმა იზამ წარმატებით გაიარა ტესტირება და ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც უმაღლესი ქულები მოიპოვა, რის შემდეგაც დაინიშნა ამ ბაგა-ბაღის დირექტორად. ცეროდენების ამ საუფლოს მალე დაატყო საკუთარი ხელწერა. შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, მოსეწრიგდა ინფრასტრუქტურა, განახლდა ინვენტარი და ა. შ.

მოთხოვნის შესაბამისად, ბაღს დაემატა ჯგუფები, იყო 6 და ამჟამად, არის 11. ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა 150-დან, 534-მდე. განახლდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ბაღი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრებით და ამიტომაც არის, რომ სკოლისთვის კარგად მომზადებულ ბავშვებს უშვებენ. ენთუზიაზმით იღვწიან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ცისანა მელქაძე** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მაია თათარაშვილი**.

აღსაზრდელების მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენენ აღმზრდელები: **ხათუნა ხავთასი, მანანა ქველაძე, ირმა ბერიძე, მარინა ზაზიევა-პოღოსიანი, ლალი ბერია, მაია ვაშაყმაძე, ანა მესხორაძე, ლელა ნადირაძე, ნანი ნახუცრიშვილი, ანა ჯანიაშვილი, ლია ფოცხვერაშვილი, თეა გაჩეჩილაძე, ნინო ფანქველაშვილი, ნანა აბუთიძე, ქეთინო მესხორაძე, ნატო იაშაღაშვილი და მანანა ზაქარეიშვილი.** მათი თანაშემწეები: **მზია ბეროშვილი, მანანა დაუშვილი, ნაირა ლაზარაშვილი, მაკა გიორგაძე, შორენა გეგუჩაზე, ნანა ჩხაიძე, გიული მალუტაშვილი, დალი მათიაშვილი, ნათია წიკლაური, ნინო ლალიაშვილი** და **მაია ყანჩაველი.**

თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად უძღვებიან დირექტორის მოადგილე – **იზა გრიგოლია**, საქმისმწარმოებლები: **თამარ ფერაძე-სარალიძე** და **ნესტან ზუკაკიშვილი**,

ლოგოპედი **მაია შიხიაშვილი**. ასევე, საქებარ სიტყვას იმსახურებს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი: **მარინე ბოკუჩავა,** სპეც-პედაგოგი **ნათია კობახიძე**. ხაზგასასმელია, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა. ესენი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის,

რომ ბაღი იყოს გამორჩეული და მოწინავე.

ბაღს ჰყავს 14 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი, რომელთანაც მუშაობა ძალზე სპეციფიურია და მათზე ზრუნავს მულტი-დისციპლინური გუნდი ფსიქოლოგის **ლალი ნაზარაშვილის**, ლოგოპედის, სპეც-პედაგოგის, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების და აღმზრდელების შემადგენლობით. სწორედ, მათი დამსახურებაა, რომ ეს პატარები წარმატებას აღწევენ. აღსაზრდელებისთვის, შედგენილია ინდივიდუალური გეგმა და შესაბამისი რეკომენ-

დაციების მიხედვით, მიმდინარეობს სისტემატური მეცადინეობა. „აქ ყველგან თოჯინები იცინიან, რა სიუხვეა, რა სიმ-

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-5 გვერდიდან

რავლეა!“

ბაღში იმართება საინტერესო კულტურული ღონისძიებები, შემოქმედებითი საღამოები. აქაური აღსაზრდელები, 2008 წლიდან დღემდე, ფილარმონიის დიდ სცენაზეც კი გამოდიან. საამაყოა ის ფაქტი, რომ 45-ე ბაღის აღსაზრდელების მონაწილობით, დიდ საკონცერტო დარბაზში იხსნება საშობაო ზეიმი და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტები. ამას გარდა, ბათუმში ამიერკავკასიის ფესტივალის გახსნაზე, ბაღის 45 პატარა მონაწილეობდა. პატარებს ცხოვრებას ულამაზებს მუსიკის პედაგოგი **ნინო ჭკუასელი** და ცეკვის მასწავლებელი – **ქეთევან ჩალაძე.**



გულთბილი სიტყვა — კოლეგასა და მეგობარზე

„არსადაც არ გაფრენილა შენი ჟღალი მიმინო!“

(75 წლის ალეკო ასლანიშვილზე სათქმელი)

მკითხველი ადვილად მიხვდება, ვისი ლექსის ერთი სტრიქონის პერიფრაზი გამოვიტანეთ სათაურში. გვაპატიოს იმ დიდი კაცის ნათელმა სულმა, მაგრამ ძალიან უხდება მისი ლექსის ეს ერთი სტრიქონის პერიფრაზი ჩვენი 75 წლის მეგობარზე სათქმელს და ამიტომ შევბედეთ მოკრძალებით...

სხვა, ან თვითონ იუბილარი რას ფიქრობს, არ ვიცით, მაგრამ ჩვენს თვალში **ალეკო ასლანიშვილი** ისეთივე ჭაბუკია, როგორიც ნახევარი საუკუნის წინ იყო და მისი მიმინოც ისევე თამამამდ აკეთებს ირაოს, როგორც მაშინ აკეთებდა, ჭაღარა რომ არ გვერია თმაში. ნიჭია ეს, ძამიკოებო, ნიჭი, რომელიც აინუნშიც არ აგდებს საპასპორტო ჩანაწერებს. მას საკუთარი ქორონიკონი აქვს და თავისი ადლით ზომავს საქმეს და საკეთებელს.

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრი კარგი კალმოსანი გვინახავს ქართულ ჟურნალისტიკაში, **ალეკო ასლანიშვილი** კი ჩვენთვის კეთილად გამორჩეული კაცია, არა მარტო პუბლიცისტური შემოქმედებით, არამედ კაცურკაცობით, ერთგულებით, ძმობითა და მეგობრობით.

ჟურნალისტის გზა ია-ვარდით მოფენილი არასოდეს არის, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მეხოტბეთა ამქარში არ არის ჩამდგარი. ამგვარ ამქარს სათოფეზეც არ გაკარებია ჩვენი მეგობარი.

ჟურნალისტიკაში რომ ფეხი შემოდგა, მაშინ რესპუბლიკაში სულ ოთხი-ხუთი გაზეთი გამოდიოდა. მათ შორის, ერთი **„სახალხო განათლება“** იყო. ამ გაზეთში გამოვლინდა **ალეკო ასლანიშვილის** პუბლიცისტური ნიჭიერება.

მერე უკვე ცნობილი ჟურნალისტი, იმდროინდელ ფლაგმან გაზეთში გადაიყვანეს სამუშაოდ, სადაც თავმოყრილი იყო მაშინდელი ჟურნალისტიკის ასების თანავარსკვლავედი. იქ დამკვიდრება და თავგამოჩენა პროფესიონალიზმის უტყუარი ნიშანი იყო.

ქვეყანა რომ აირია, ძაღლმა და პატრონმა ერთმანეთის ცნობა რომ დაკარგეს, შავ დღეში ჩავარდა ქართული პრესა. საზოგადოების ზედაპირზე მოქცეულ და ხელისუფლებაში მოსულ ბრბოს წერა-კითხვასა და ცოდნა-განათლებასთან თითქმის არაფერი აკავშირებდა და რაღაში სჭირდებოდა მაღალპროფესიული ჟურნალ-გაზეთები. მათ სჭირდებოდათ ძალიან ყვითელი პრესა, რომლის ფურცლებიდან მხოლოდ ოდეკოლონნაპკურები ფეკალური მასები მოედინება. ამ სიბინძურის ნიაღვარიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოზიციებზე მდგომი და საკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული გაზეთის უმწიკვლოდ გამოტარებას გმირობა სჭირდებოდა, რაც შეძლეს კიდეც იმ ფლაგმანი გაზეთის ერთგულმა **„კალმის რაინდებმა“**. იმ მძიმე უღელში **ალეკო ასლანიშვილი** ყევარი ხარივით ება. **„საქართველოს რესპუბლიკა“** კვლავაც უზადო პროფესიონალიზმის მაგალითებს აძლევს დღევანდელობას.

ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის პოსტზე სრულად გამოვლინდა ჩვენი მეგობრის მრავალმხრივი ნიჭიერება, ორგანიზატორული უნარი, პოლიტიკური გაბედულება, სიმტკიცე. მან და მისმა მეგობარმა თანამოკალმეებმა შემოიკრიბეს ერთობ საინტერესო პუბლიცისტები და მათთან ერთად ამკვიდრებენ საღ აზრს, სწორ ზნეობრივ და სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციებს.

ალეკო ასლანიშვილი თავის ჭაბუკურ 75-ე წლისთავს ხელხვავიანად ხვდება: უამრავი სტატია და წერილი, პუბლიცისტური წიგნები, უთვალავი მადლიერი მკითხველი და მოყვარული მეგობრები, – აი, მისი მონაგარი! ეს ისეთი სიმდიდრეა, რომელიც **„არც ცხადლივ ძალით წაირთმის, არც მალვით მოიპარების“**. წინ კვლავ დიდი სამკალი უძევს. წარმატებით ევლოს ჟურნალისტიკის კლდოვან ბილიკებზე. დარწმუნებული ვართ, მისი ჟღალი მიმინო ძალიან დიდხანს არსად გაფრინდება!

ბორის მიშველაძე,
ზურაბ ქობალია,
ზურაბ შაუთიძე,
ჯემალ კასრაძე,
ზურაბ ცუცქირიძე

P.S. ძმაო ალეკო!

ამ მინაწერს, შენ რომ წაიკითხო მხოლოდ, იმისთვის ვწერთ. მაგრად გვიყვარხარ ყველას! ახლა შენს სადღეგრძელოს ვსვამთ ერთი ჩვენი ძმაკაცის მარანში, რომელიც პირადად არ გიცნობს, მაგრამ შენი აქტიური მკითხველია. შენი სადღეგრძელო ყანწით დალია და გვთხოვა, გადმოგცეთ მისი და მთელი მისი ოჯახის მოლოცვა და დალოცვა, თან ისიც არ გამოგვრჩეს, ყანწით რომ დალია შენი სადღეგრძელო.

ჩვენც ვუერთდებით მის ლოცვა-დალოცვას, თუმცა, ყანწის დალევას ყველა ვერ ვახერხებთ!

გაგიმარჯოს მრავალჟამიერ!

ბ. მ., ზ. ქ., ზ. შ., ჯ. კ., ზ. ც.

ჩვენი მეგობარი პავლე

მეგობრობის შემძლეობა ღვთიური ნიჭია. მხოლოდ რჩეულ კაცებს ახასიათებთ ამგვარი შემძლეობა, რომელსაც საგანგებო ძალისხმევით ვერავის ასწავლი. ეს უნდა მოგდგამდეს. სხვისი სიხარულით გახარება, სხვისი დარდის გაზიარება უნდა შეგეძლოს, სხვათა დახმარება სიამოვნებას უნდა გგვრიდეს. ამგვარი ნიჭით არის სავსე ჩვენი მეგობარი **პავლე მურადაშვილი**. საქართველოს დიდ ისტორიულ ეზოში იგი ყველას კეთილი მეგობარი და მასპინძელია. ადამიანები კი არა, ჩვენი „უმცროსი ძმები“ – ცხოველები და ფრინველებიც ახლობლობენ. ასე რომ არ იყოს, ყვავები ყოველდღე კაკლებს კი არ მოუტანდნენ საჩუქრად. ამ საოცრებაზე მწერალმა **ნარო კოლხელმა** მოთხრობაც კი დაწერა – **„პავლე პაპას კაკლები“**.

ჩვენც ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, ფამილარულად ველაპარაკოთ, თორემ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეზე (თურქოლოგზე), განათლების ამაგდარ მუშაკზე იქნებ უფრო აკადემიურად უნდა გველაპარაკა, მაგრამ ჩვენი მისდამი სიყვარულის გამოხატვა შეუძლებელი იქნებოდა მაშინ.

ამჯერად მისი შრომით-შემოქმედებითი მოღვაწეობის ფაქტობრივ დეტალებზე არ ვილაპარაკებთ, რადგან ეს ისეც იცის საზოგადოებამ. ამასთან, ისეთი საიუბილეო თარიღიც არ შესრულებია, ანგარიშგება აუცილებელი რომ იყოს. აი, 90-ის ან ასი წლის რომ გახდება, მაშინ დაწვრილებით მოვუთხრობთ მკითხველს მის ნაშრომ-ნამოღვაწარზე.

ახლა კი... „გაუმარჯოს პავლესა,...“ ამას რომ მისამღერი მოსდევს, ის ჩვენს მეგობარ პავლეს არ ეხება; ის თუ დაასხამს ან დასასხმელს შემოდგამს მაგიდაზე (მისაყოლებელთან ერთად, რა თქმა უნდა!), ჩვენთვის ირჯება მაშინ. ასე იყო ამჯერადაც, დაბადებიდან არასაიუბილეო თარიღი რომ შეუსრულდა, მის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ციალას, ისეთი ნუგბარ-ნუგბარები გამოუტანებია ჩვენთვის (იცის უთმელიძის ქალმა!), რომ ორი თუ სამი დღე აღარც საშინაო და აღარც საგარეო პოლიტიკა გაგვხსენებია.

ჩვენმა თამადებმაც თავი არ შეირცხვინეს (სამ კაცს მოუწია თამადობა და სამივე ზურა იყო. მეოთხეს „ლიშენია“ ჰქონდა, თორემ...) და გულმხურვალე ლოცვა-სადღეგრძელოები აღავლინეს პავლეს წინაპრებისა თუ შვილებისა და შვილიშვილების სახელზე. არც სხვა ახლობლები გამოუტოვებიათ. რა ენალვლებოდათ, რა! ღვინო და არაყი ბევრი მოეტანა პავლეს.

დღეგრძელი და მზეგრძელი იყოს ჩვენი მეგობარი **პავლე მურადაშვილი**, ერთი ოცი წელი ამ დიდ ეზოში – **„კოსტავას ეზოდ“** რომ მოიხსენიებენ დღეს და კიდევ ერთი ამდენი იქ, სადაც მისი შესანიშნავი ოჯახი ცხოვრობს და სადაც დიდებული მარანი აქვს გამართული ყოფილ გარაჟში.

სიყვარულით და პატივისცემით
ზურაბ ქობალია, ზურაბ შაუთიძე,
ზურაბ ადამია, ზურაბ ცუცქირიძე,
ჯემალ კასრაძე, პეტრე
კაჭკაჭიშვილი, ალეკო გაბელაია.

იუმორისტული წკიპურტები

დირექტორის „პოზიცია“

ერთ მოწინავე სკოლაზე სტატიის დასაწერად დირექტორს ვესტუმრე.

– მართლაც ბევრი წარმატება გვაქვს, მაგრამ ინტერვიუს ვერ მოგცემთ, – იმედი გადამიწურა ირმამ, – პედაგოგებს ვერ ვეტყვი, ვერ დავავალებ, რომ გაზეთები შეიძინონ.

– როგორ, პედაგოგი თავისი პროფესიული გაზეთის გაცნობაზე, ისიც ხუთ წელიწადში ერთხელ, უარს როგორ იტყვის?

– სკოლაში გაზეთის გავრცელება აკრძალულია.

– ვინ აკრძალა? რაღაც კონიუნქტურიდან გამომდინარე დუმილი.

– მე ვიცი, რომ არავის აუკრძალავს მასწავლებელს მასწავლებლის გაზეთი და სხვა მეთოდიკური ლიტერატურა შეიძინოს, პირიქით, დირექტორი, უნდა ავალებდეს კიდევაც, პედაგოგი იძენდეს, ეცნობოდეს მეთოდიკურ სიახლეებს, ფლობდეს პედაგოგიურ სივრცეს.

– ვერ ვუბრძანებ, ვერ ვაიძულებ.

– ვინ გითხრათ, უბრძანეთო, რომ ურჩიოთ?

დირექტორი თავის **„პოზიციაზე“** მაინც „მტკიცედ დგას, ვითარცა შუშანიკ“.

როგორ ვერ მომატყუა დირექტორმა?

განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებიდან ერთი დებულების დასაზუსტებლად საჯარო სკოლაში დავრეკე. საქმისმწარმოებელმა საფუძვლიანად გამოიძია: **„ვინა ვარ, სიდან მოვსულვარ, რა მინდა, მივალ სადაო?“** მოითმინეთო. კარგა პაუზის მერე: დირექტორი **სამინისტროში** თათბირზე წასულაო. მეორე სკოლაში დავრეკე. აქაც – ცოტა განსხვავებით: **რესურსცენტრშია** წასულიო. მესამე სკოლაში – **ღონისძიებაზეაო**. მეოთხე სკოლაში – **შეხვედრაზეაო**.

ჩემს გულუბრყვილობას რა ვუთხრა – გვიან მივხვდი, რომ მატყუებდნენ. ჰოდა, ეშმაკობა ვიხმარე: გამახსენდა, ერთ-ერთ სკოლაში სტუდენტობის მეგობარი პედაგოგად მუშაობდა. დავურეკე: დირექტორი სკოლაშია? კაბინეტში ზისო, – მიპასუხა. იმავე წუთში დავრეკე: კაბინეტში არ არის, აბა, მოითმინეთ, მოვძებნითო. პაუზა. „ალო, **სამინისტროში** წასულაო“. გავცეცხლდი: არა გრცხვენიათ, ეგერ გიზის დირექტორი ცხვირწინ-მეთქი.

მკითხველო, თუ სკოლის დირექტორთან საუბარი გინდათ, გამოცდილება გაითვალისწინეთ.

ორი ტყუილი

ტყუილი პირველი

გამოჩენილი ექსპერტი და პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი**, თუ არ ვცდები „ქართული არხის“ ეკრანიდან ირონიულ-იუმორისტულ სტილი გვმოძღვრავდა. მისი სიბრძნეების განსჯაში ვერ შევალ, მხოლოდ ერთმა დამაინტერესა: „საბჭოთა კავშირში ყველას გაზეთ „პრავდის“ გამოწერას გვაიძულებდნენ. რვასულიან ოჯახში რვა ეგზემპლარი „პრავდა“ იდოო“.

ბატონო სოსო, მთლად ასე არ იყო. არ გინდათ ასეთი ჰიპერბოლიზაცია. ვიცით, საითკენ უმიზნებთ ამ სიტყვებით. აქვე უნდა გითხრათ, რომ მოსე მწერალი თქვენი ადრესატი ახალგაზრდობა კი არა, თქვენივე ასაკის კაცია და თქვენზე არანაკლებად იცის, რას წარმოადგენდა საბჭოთა წყობილება, მაშინდელი მართვის სისტემა. მოსე მწერლის ოჯახი ხუთი სულისგან შედგებოდა, მაგრამ ერთი ცალი „პრავდაც“ არ ჰქონდათ გამოწერილი. რუსეთს თავისი უზარმაზარი ცოდვები ისედაც ამძიმებს, ახალი ცოდვების მოგონება საჭირო არ არის. ყოველ შემთხვევაში კარგს არაფერს გვაძლევს.

ტყუილი მეორე

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. ეს ანდაზა ასე სწრაფად გამართლებული იშვიათად მინახავს. ტელეწამყვანმა გაბუნიამ ეკრანიდან გვაუწყა: ა, ბატონებო, ამ გადაცემაში „ოცნებიდან“ მთავრობის წარმომადგენლები დავპატიჟე და არ მოვიდნენო. ყოველთვის ასე ხდებაო. იმავე წუთში ჟურნალისტებმა ცალ-ცალკე ჰკითხეს: **კახა კალაძეს, გელა კვაჭანტირაძეს, ირაკლი სესიაშვილს**, რატომ არ ეკარებით ჩვენს ტელესტუდიასო? სამივემ მაშინვე უპასუხა: არასოდეს მოვუწვევივართო.

გაბუნიას ვურჩევთ: ამის შემდეგ, ზოგადად განცხადებას ნუ გააკეთებს პერსონალურად დაასახელოს, ვინ მოიწვია და არ მოვიდა.

მოსე მწერალი

მოდით, გაიხარეთ, 59-ე ბაგა-ბაღელებო!.

აქ ოჯახური სითბო და სიყვარულია

ეს ბაგა-ბაღი ცეროდენებ-ის ზღაპრული სამყაროა, მათი მშობლიური ოჯახია. ეზოშიც და

შიგნითაც უთუოდ მოგხიბლავთ მისი იერ-სახე. „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“. ახალმა დირექტორმა მეტი ხიბლი შემოიტანა. **ეკა ლოთიკაშვილი** ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული პედაგოგია. თავად სამი შვილის მშობელი ისეთი პიროვნებაა, რომელზეც ვაჟა ამბობდა: „ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა

მიცვნია ღმერთადაო“. ქალბატონი ეკა დედაუნივერსიტეტისა და აგრარული უნივერსიტეტის აღზრდილია. უფრო მეტიც, **მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ**. ასეთი ერუდირებული ხელმძღვანელი ძალზე დიდი იშვიათობაა

თბილისის ბაგა-ბაღებში. ერთი წლის მოსულია და ბაგა-ბაღს უკვე დაატყო თავისი ხელწერა.

– მერიის ხელშეწყობით და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის ბატონ **თემურ თორდინავას** დახმარებით კეთილმოეწყო სამზარეულო. ორ ბაგის ჯგუფს ჩაუტარდა თანამედროვე რემონტი. შემოვიტანეთ სპორტული ლეიბები, სათამაშოები, როიალი. მოვიწვიეთ დიზაინერი და ესთეტიკურ-თეატრალური გარემო შევქმენით, – განაცხადა დირექტორმა.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ პატარების სწავლა-აღზრდისთვის აქ შესანიშნავი პირობებია, მშობლიური გარემოა. თუ გინდა სითბო და ალერსი – რამდენიც გინდათ აქ არის. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. მშობლები უაღრესად კმაყოფილნი არიან და ესაა მთავარი მიღწევა.

ახალ დირექტორს თანამშრომლები მხარში აქტიურად ამოუდგნენ. აქ მეტად გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელები და სხვა სფეროს პროფესიონალები მოღვაწეობენ.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობისთვის ბევრს ზრუნავს დირექტორის მოადგილე, გამოცდილი პედაგოგი **ნინო გვარაძე**.

მთელი საქმიანობის სული და გული კი გახლავთ ცეროდენებთან დიდხანს ნაღვაწი, გამობრძმედილი პროფესიონალი მეთოდისტი **რუსიკო ბენდელიანი**.

მიმდინარე სასწავლო წლის მთავარი სიახლეა **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** განხორციელება. მისი მოთხოვნების წარმატებით შესრულებისთვის მეთოდისტის ხელმძღვანელობით თავდადებით იღვწიან აღმზრდელები, მათი თანაშემწეები, სხვა მუშაკები.

არ შეგვიძლია, მადლობა არ ვუთხრათ და მარჯვენა არ დავულოცოთ შრომისმოყვარე, პატარებზე დედასავით მზრუნველ აღმზრდელებს: **მიმოზა ბენდიანიშვილს**, **თამილა ისერგიშვილს**, **ნინო თხინვალელს**, **შორენა თოთაძეს**, **ნატო მენაბდეს**, **თამარ კიკვაძეს**, ღვაწლმოსილ **ნინო ახსიაშვილს**, **ციცინო ნანობაშვილს**, **დალი ხაჩუკაშვილს**, **დალი მანჯაიძეს**, მკლავმოუღლელ **ნინო ომიაძეს**, **ლია კირვალიძეს**, **გულნაზ მჭედლიშვილს**, **გვანცა ჩიკვილაძეს**, **აზა მარშანიას**, **თამარ ბენდიანიშვილს**, **თეა ჩომახაშვილს**, **ნინო კვირკველიას**, **ოლია ჩაჩანიძეს**. თანაშემწეებს: **შორენა თურმანიძეს**, რომელსაც საკუთარი შვილებივით უყვარს პაწიები, **მაგდა ლაცაბიძეს**, **ნანი კირვალიძეს**, **ლიანა ქეშელაშვილს**, **ლია თურმანიძეს**, **ლია ყაჭეიშვილს**, **ნინო ნებიერიძეს**, **მარინე კამკამიძეს**, **ეთერ ხარაზიშვილს**, **ნათია არღვლიანს**, **ირინე ნოზაძეს**, **ნათია აბუაშვილს**, **თამარ ხუროშვილს**, **ეკა პაპიტაშვილს**, **ქეთევან ცინცაძეს**, **ჟანეტა კოტრიკაძეს**, **რუსუდან გუგეშაშვილს**.

თქვენი ღვაწლია, რომ აქ ამდენი ნიჭიერი ცუგრუმელა, იმედისმომცემი მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, მსახიობი იზრდება. აქ ყველა ნიჭიერია. ყველას გაცნობა ვერ შევძელით, მაგრამ დაგისახელებთ ბევრ მათგანს, ვინც ალამაზებდნენ ნაძვის ხის „კარნავალს“, გამოშვების ზეიმს და სხვა ღონისძიებებს. მადლობა მინდა ვუთხრათ: **გიორგი** და **მარი მღვდელაძეების**, **მარი** და **ნინი ბატკუაშვილების**, **ილია მაჭარაშვილის**, **მელისა ახვერდიევის**, **თეკლა გულბანის**, **თეკლა ჭაბუკიანის**, **ნიკა გულუას**, **მარი ჯავახიშვილის**, **სალომე სიხარულიძის**, **ნინო ქერაულის**, **მარი მურაჩიანის**, **დათო ფეტვიაშვილის**, **ვასო გურგენიძის**, **აკაკი ბაღაშვილის**, **ბარბარე ლეკიაშვილის**, **ნიკა თურმანიძის**, **ნიკა ადეიშვილის**, **ეკა ბაკიძის**, **ნიკა ნარიმანიძის**, **ლუკა ცერცვაძის**, **ილია ცუხიშვილის**, **თამთა ბაზერაშვილის**, **მარი ჩიტიშვილის**, **სოფო ქოთოლაშვილის**, **გაგა სამქანაშვილის**, **მარი ალექსანდრიას**, **სალომე გულვარდაშვილის**, **დემეტრე მენაბდის**, **ვანო კიკნაძის**, **ლუკა გონგლაძის**, **ლიზი ხარატიშვილის**, **მარი ძოწენიძის**, **გიორგი სამხარაძის**, **ნიკა კანდელაკის** და სხვათა მშობლებს

ასეთი შვილების გაზრდისათვის.

დიდი მადლობა იმ აღმზრდელებს, რომლებიც ცეროდენებს სულს უფაქიზებენ, ხელოვნებას აყვარებენ. ესენი გახლავთ: მუსიკის ჩინებული პედაგოგი **თამარ კალმახელიძე**, ცეკვის პედაგოგები: **ირაკლი ჩიტაია** და **ნინო თხინვალელი**.

პაწიების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგანან გამოცდილი ექიმ-ჰიგიენისტები: **ლია მამულაშვილი** და **სესილი საბაშვილი**. მათი შიშით „ღორის გრიპი“ ახლოს ვერ გაიჭაჭანებს.

ბაღში რომ მოვდიოდით, მშობლებს დავემგზავრეთ, ბავშვთა კვებაზე შევეკითხეთ. ერთმა მშობელმა ცერათითი მიჩვენა და ლექსად მიპასუხა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. ასეთ კერძებს უმზადებენ პაწიებს გამოცდილი და გემოვნებიანი მზარეული **მარინე გიორგაძე** და მისი დამხმარე **მზია ხაბაზიშვილი**.

შედეგიანად მუშაობს პატარებთან ლოგოპედი **დალი სამსონია**, მაგრამ მთავარი პერსონაჟები მაინც პროფესიონალი, მშრომელი და ენთუზიასტი მუშაკები არიან: სამნეო ნაწილის კოორდინატორი **ლია კუთხაშვილი** და დაუღალავი, მოუსვენარი საქმისმწარმოებელი **თეა ლურსმანაშვილი**. დირექტორი **ეკა ლოთიკაშვილი** მაღალ შეფასებას აძლევს მათ საქმიანობას. მადლობის და ქების ღირსნი არიან: მებაღე **ფაუზა ცაგარეიშვილი**, მუშა **რეზო საჯაია**, დარაჯები: **ოთარ ჩოხელი**, **ამირან კობახიძე**, დამლაგებლები: **ნათელა ადამაშვილი**, **მაგული ჯანჯალაშვილი**, **მარეხ მჭედლიძე**, **ნანი ბაისონაშვილი**, **ნია ტოლიაშვილი**, **ხათუნა მჭედლიძე**, **ვალენტინა სიხარულიძე**.

მოკლედ, 59-ე ბაგა-ბაღი ზღვის დასახლების მშვენებაა, იგი მეტად პოპულარულია. მინდა მოგმართოთ გიორგი ლეონიძის ოდნავ შეცვლილი სტრიქონებით: **„შენ აყვავდი, ბალო, მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, გაგიზრდია თაობები, ვინც ქვეყანა დაამშვენა“**. აქ კიდევაც ბევრნი გაიზრდებიან.

ამ ახალ წელს ბედნიერება და გამარჯვებები დაგებედოთ, 59-ე ბაგა-ბაღელებო!

ბორის ხარებავა

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 3 (4524)
10 თებერვალი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009